



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030435857074714

04-127/ო

28 / აპრილი / 2014 წ.

“დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ” სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 15 ნოემბრის №04-447/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 24 მარტის №04-17/ო ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის განხორციელების ღონისძიებების კოორდინირების მიზნით, სააგენტოსათვის, როგორც ამ კომპონენტის განმახორციელებლისათვის, კანონმდებლობით მინიჭებული მატერიალიზებული ვაუჩერის ფორმის შემუშავების უფლებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 25 აპრილის N01/34508 (N04/33435, 23.04.2014 წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 63-ე მუხლების, აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 15 ნოემბრის № 04-447/ო ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს:

ა) „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებისათვის „ანტენატალური მეთვალყურეობის მატერიალიზებული ვაუჩერის მიმოქცევისა და გაცემის წესი“ (დანართი N1);

ბ) ანტენატალური მეთვალყურეობის ვაუჩერის ფორმა (დანართი N2).“;

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სააგენტოს ცენტრალურ აპარატში მომართვისას – სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის (შემდგომში, ბრძანებასა და მის დანართებში – ადმინისტრაცია) ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს შესაბამის თანამშრომელს (თანამშრომლებს);“

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ვაუჩერის (მატერიალიზებული) ფორმის დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 24 მარტის № 04-17/ო ბრძანება.

3. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. ქინქლაძე